"აჭარაში მოსამართლეთა ნდობის ხარისხი გაიზარდა"

სასამართლო ხელისუფლებისადმი გაზრდილ ნდობის ხარისხზე და აჭარის მართლმსაჯულების მუშაობის სპეციფიკაზე საუბრობს ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე თემურ გოგოხია.

- ბატონო თემურ, საქართველოს სასამართლო სისტემაში ბოლო წლების განამვლობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა. როგორ აისახა ეს პროცესი ბათუმის საქალაქო სასამართლოზე?

- სასამართლო სისტემაში მასშტაბური რეფორმა 2005 წლიდან დაიწყო და რეფორმის პროცესი დღესაც მიმდინარეობს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით, შეიქმნა ბათუმის საქალაქო სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით. სარეფორმო ცვლილებების ჩამოთვლა, რომელიც ამ პერიოდში ბათუმის საქალაქო სასამართლოში გატარდა, ძალიან შორს წაგვიყვანს, რადგან იგი ყველა მიმართულებით მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ 2006 წელს მოხდა ბათუმის სასამართლო შენობის რეკონსტუქცია, რის შემდეგაც ბათუმის საქალაქო სასამართლომ ფუნქციონირება გააგრძელა ახალ შენობაში. დღეს არსებობს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი შვიდი სხდომის დარბაზი. სამი - სისხლის, ოთხი კი - სამოქალაქო. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მოქალაქეს, რომელსაც არა აქვს ადვოკატის აყვანის საშუალება, უკვე თავისუფლად შეუძლია თავად შეავსოს სასამართლოს სარჩელის ფორმა, რომელიც ძალიან მარტივად და გასაგებად არის შედგენილი. და კიდევ ერთო, რაც ასევე მთავარია, მათ შეუძლიათ, სახლიდან გაუსვლელად, ელექტრონულად მიმართოს სასამართლოს. სასამართლო წარმოების ელექტრონული სისტემა ქართულ მართლმსაჯულებაში და მათ შორის, ბათუმის სასამართლოში, სულ რამდენიმე თვეა რაც დაინერგა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში, სხდომის დარბაზები აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული აუდიო ჩამწერი სისტემით. ამ ეტაპზე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მიმდინარეობს სხდომათა აუდიო ჩაწერა, რამაც რადიკალურად შეცვალა და შესაბამისად, გააუმჯობესა სიტუაცია სასამართლოში. ჩვენს სასამართლოში მოეწყო ვიდეოკონფერენციის და საპრეზენტაციო დარბაზები, რომლის მეშვეობითაც, სასამართლო პროცესზე აღარ იქნება საჭირო რეგიონებიდან მოწმეების ჩამოყვანა. ისინი დაიკითხებიან სასამართლოში თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც თავისთავად ხელს უწყობს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

- ბათუმის საქალაქო სასამართლო მთელ აჭარის რეგიონს ემსახურება, ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, რა სპეციფიურობით გამოირჩევა თქვენი მუშაობა?

- დავიწყებ იქედან, რომ სტატისტიკური მონაცემებით, ბათუმის საქალაქო სასამართლო ერთ-ერთი დიდი სასამართლოა საქართველოში და აქედან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ ყველა მონაცემებით ჩვენი სასამართლო ლიდერობს. ვგულისხმობ, საქმეთა სიმრავლესა და მოსამართლეთა რაოდენობას. სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს სულ 15 მოსამართლე განიხილავს. შეიძლება ჩვენი მუშაობის სირთულედ ჩავთვალოთ საქმეთა დიდი ნაკადი, თუმცა, ამ სირთულეების დასაძლევად საკმაო რესურსი გაგვაჩნია. რაც შეეხება სპეციფიურობას, ამ კუთხით ვერ გამოვყოფდი ბათუმის საქალაქო სასამართლოს. პერიოდულად ჩვენი მოსამართლეები განიხილავენ ისეთი სახის სარჩელებს, რომელიც სასამართლო პრაქტიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ხშირად პრაქტიკოსი მოსამართლეების დისკუსიის საგანიც გამხდარა. სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრმა სარჩელი აღძრა ორივე მშობლების მიმართ მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევის შესახებ. სარჩელის საფუძველი გახდა ის, რომ მშობლები არასრულწლოვან შვილებს აიძულებდნენ ემათხოვრათ ერთ-ერთი სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ღამის საათებში. სამართლებრივად აღნიშნული გარემოება საფუძველს იძლეოდა მშობლის უფლებისა და მოვალეობის ჩამორთმევისათვის, თუმცა ასევე სამართლებრივად რთული გახლდათ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება. საქმის განხილვის პერიოდში სასამართლოს ძალისხმევით მხარეებს შორის მოხდა ერთგვარი შეთანხმება იმის შესახებ, რომ ბავშვებს აღარ აიძულებდნენ ემათხოვრათ ქუჩაში. ასე გადაურჩნენ ბავშვები ქუჩაში მათხოვრობას, ხოლო მშობლებმა შეინარჩუნეს შვილები.

- სასამართლო სისტემაში ზოგჯერ კვალიფიციური მოსამართლეების და ზოგადად კარდების დეფიციტია, ბათუმის სასამართლო როგორ ართმევს თავს ამ პრობლემას?

- ასეთი პრობლემის წინაშე მართლაც ვმდგარვართ, მაგრამ, საბოლოოდ, ბათუმის სასამართლო სისტემაც ყველანაირ ცვლილებას მომზადებული ვხვდებით. ჩვენი მოსამართლეები, ასევე აპარატის თანამშრომლები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ტრეინინგებში, როგორც ქართველ ისე უცხოელ ექსპერტებთან. ეს კი ეხმარება მათ, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის მიღებაში, საბოლოოდ კი, მიღებული ცოდნა გადაწყვეტილებებზე დადებითად აისახება.

- ქართული მართლმსაჯულების ბოლო წლების სიახლეა მაგისტრატი მოსამართლეები. როგორ დაინერგა ეს ინსტიტუტი თქვენს რეგიონში, რა საქმეებს განიხილავენ და რამდენად წარმატებულად მოღვაწეობენ ისინი?

- მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის - ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საქართველოში, სასამართლო სისტემაში შეიქმნა მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი. შესაბამისად, ეს ინსტიტუტი იმთავითვე დაინერგა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. კერძოდ, ქობულეთის მაგისტრატი მოსამართლე პირველი ინსტანციის წესით განიხილავს მის განსჯადობას მიკუთვნებულ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს. იმავდროულად მაგისტრატ მოსამართლეს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში განიხილოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს განსჯადი საქმეებიც. აჭარის რეგიონში მაგისტრატი მოსამართლეები უფლებამოსილებას ახორციელებენ ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში და ისინი იხილავენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 20-ე მუხლით დაკვალიფიცირებულ დანაშაულებს.

- აჭარა საზღვრისპირა რეგიონია, რაც თავითავად ცხადია, გარკვეულ გავლენას ახდენს დანაშაულის სახეობებზე. ძირითადად რა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეების განხილვა უწევთ ბათუმელ მოსამართლეებს. არსებობს თუ არა გამამართლებელი ან შემამასუბუქებელი განაჩენები?

- ცალსახად უნდა ითქვას, რომ ბოლო წლების მანძილზე მკვეთრად შემცირდა დანაშაულის მაჩვენებელი. სტატისტიკური მონაცემებით, ბათუმში და ზოგადად, აჭარის რეგიონში ხშირია საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული დანაშაულის - ქურდობის და საზღვრის უკანონო გადაკვეთასთან დაკავშირებული ფაქტები, მაგრამ მთლიანობაში ყველა დანაშაულს სჭარბობს ნარკოტიკული დანაშაული. შესაბამისად, მოსამართლეებს უფრო ხშირად უწევთ ასეთი კატეგორიის საქმეების განხილვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას ძალიან ხშირად გამოიყენება საპროცესო შეთანხმები, კერძოდ, შემოსულ საქმეების 85 პროცენტი სწორედ ამ გარიგებით მთავრდება. რაც შეეხება შემამსუბუქებელ და გამამართლებელ განაჩენებს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ასეთი უამრავი საქმე არსებობს. სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლეები განაჩენის დადგენის დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბრალდებულის შემამსუბუქებელ გარემოებებს, რაც თავისთავად აისახება მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება.

- რამდენად აქტუალურია აჭარაში არასრულწლოვანთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულები?

- რაც შეეხება არასრულწლოვანთა მხრიდან ჩადენილ დანაშაულებს, ამ მხრივ, აჭარის რეგიონში მნიშვნელოვანი კლებაა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის პროკურატურის მხრიდან განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განხორციელებას, რის გამოც ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში, არასრულწლოვანის სისხლის სამართლის წესით დასჯა აღარ ხდება. ამდენად, ბათუმის საქალაქო სასამართლოში შემოსული არასრულწლოვანების საქმე პროცენტულად არ აღემატება სასამართლოში არსებული საქმეთა საერთო რაოდენობის ერთ პროცენტს. ყველანაირი სტატისტიკური მონაცემებით არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულთა კატეგორია ძირითად განეკუთვნება წვრილმან ქურდობას და ასევე ჩადენილ დანაშაულებს შორის სჭარბობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები - 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება.

- ზაფხული აჭარაში აქტიური სეზონია, რა კატეგორიის დანაშაულები მატულობს ამ პერიოდში და რამდენად აისახება ეს ბათუმის სასამართლის ცხოვრებაზე?

- მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული აჭარაში აქტიური სეზონია, ამ პერიოდში სისხლის სამართლის დანაშაულთა მატება არ აღინიშნება და ბათუმის საქალაქო სასამართლოც ჩვეულ რეჟიმში, როგორც წელიწადის სხვა პერიოდში, აგრძელებს მუშაობას, რისი დასტურიცაა სტატისტიკური მონაცემები.

- საზოგადოებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეეზე დაწყებული დავები. გაზრდილია თუ არა ამ მიმართულებით მოქალაქეთა მიერ სარჩელების შემოტანა და რა კატეგორიის დავები სჭარბობს?

- ბოლო წლების მანძილზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოში, როგორც საქართველოს სხვა სასამართლოებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სარჩელების რაოდენობა, რაც გამოწვეულია მოქალაქეთა მხრიდან სასამართლოს მიმართ გაზრდილი ნდობით. სამოქალაქო საქმეებში სჭარბობს სამეზობლო და საოჯახო კატეგორიის დავები. რაც შეეეხება ადმინისტრაციულ დავებს, არსებული სტატისტიკით, გადაწყვეტილებების 60 პროცენტი სწორედ მოქალაქეთა და კერძო კომპანიების სასარგებლოდ სრულდება. აქედან გამომდინარე, საკმაოდ შემცირებულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევები.

- დასამალი არ არის, რომ საზოგადოების გრკვეული ნაწილი სასამართლო სისტემას უნდობლობას უცხადებს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ბათუმში, ენდობა თუ არა მოსახლეობა სასამართლო ხელისუფლებას?

- ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, თითქოს მოსახლეობა არ ენდობა სასამართლო ხელისუფლებას, რადგან ბოლო წლების მანძილზე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან სისტემატურად ტარდებოდა სასამართლოებში, მათ შორის ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მოქალაქეთა გამოკითხვა. გამოკითხვების ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ბოლო წლების მანძილზე იზრდება მოქალაქეთა ნდობა სასამართლოს მიმართ, რისი დასტურია 2011 წლის მაისში საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანიზებით ჩატარებული კვლევა, რა დროსაც ბათუმის საქალაქო სასამართლოში სულ გამოიკითხა 616 რესპოდენტი. კითხვები ძირითადად სასამართლოში არსებულ გარემოს, მოქალაქეებისადმი თანამშრომელთა დამოკიდებულებას, საქმის განხილვის ვადებს და სასამართლოს მიმართ ნდობას შეეხებოდა. ყველა პარამეტრის მიხედვით ბათუმის საქალაქო სასამართლოში მდგომარეობა დადებითად შეფასდა, რაც, საბოლოო ჯამში, სასამართლოსადმი ნდობის გაზრდაში გამოიხატა. კვლევის შედეგების მიხედვით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართ სრული ნდობა გამოკითხულთა 68 პროცენტმა დააფიქსირა, 16,9 პროცენტი ნაწილობრივ ენდობა სასამართლოს, ერთიანობაში 84,9 პროცენტი ენდობა სასამართლოს. კითხვაზე დროულად მოხდა ან ხდება თუ არა მათი საქმის გადაწყვეტა, დადებითი პასუხი გასცა გამოკითხულთა 79,7 პროცენტმა. გამოკითხული რესპოდენტებიდან 79,2 პროცენტმა განაცხადა, რომ დროულად გაუწიეს მომსახურება, 81 პროცენტმა მიიღო მისთვის საჭირო ინფორმაცია. გამოკითხულთა 85,1 პროცენტმა კი სასამართლოს თანამშრომელთა თავაზიანობა კარგად ან ძალიან კარგად შეაფასა.

- ბათუმის საქალაქო სასამართლოში ცვლილებები ალბათ მომავალშიც იგეგმება, კერძოდ, რა სიახლეებს ჰპირდებით აჭარის მოსახლეობას?

- საქართველოში სასამართლო რეფორმა წარმატებულად მიმდინარეობს, ამის თქმის უფლებას მაძლევს სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, სასამართლოში მოსული მოქალაქეები კომფორტულად გრძნობენ თავს, მომსახურების მხრივ ძალიან კმაყოფილები არიან. ამ კუთხით კვლავაც ვაგრძელებთ მუშაობას, რათა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ შედეგი, მაქსიმალურად სწრაფად და ხარისხიანად მოვემსახუროთ ჩვენთან მოსულ მოქალაქეებს. რაც შეეხება სიახლეებს, უახლოეს პერიოდში გადავდივართ საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაზე, ეს არის სრულიად ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა.

სასამართლოს ქრონიკა
11 ივლისი, 2011 წელი

მომხმარებელთა კვლევის შედეგები

2011 წლის მაისის თვეში ბათუმის საქალაქო სასამართლოში მომხმარებელთა კვლევა ჩატარდა. სულ გამოიკითხა 616 რესპოდენტი.

შეკითხვები ძირითადად სასამართლოში არსებულ გარემოს, მოქალაქეებისადმი თანამშრომელთა დამოკიდებულებას, საქმის განხილვის ვადებს და სასამართლოს მიმართ ნდობას შეეხებოდა. ყველა პარამეტრის მიხედვით ბათუმის საქალაქო სასამართლოში მდგომარეობა დადებითად შეფასდა, რაც, საბოლოო ჯამში, სასამართლოსადმი ნდობის გაზრდაში გამოიხატა.

კვლევის შედეგების მიხედვით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართ სრული ნდობა გამოკითხულთა 68 პროცენტმა დააფიქსირა; 16,9 პროცენტი ნაწილობრივ ენდობა სასამართლოს; ერთიანობაში 84,9 პროცენტი ენდობა სასამართლოს. კითხვაზე დროულად მოხდა ან ხდება თუ არა მათი საქმის გადაწყვეტა, დადებითი პასუხი დაადასტურა გამოკითხულთა 79,7 პროცენტმა. გამოკითხული რესპოდენტებიდან 79,2 პროცენტმა განაცხადა, რომ დროულად გაუწიეს მომსახურება, 81 პროცენტმა მიიღო მისთვის საჭირო ინფორმაცია. გამოკითხულთა 85,1 პროცენტმა სასამართლოს თანამშრომელთა თავაზიანობა კარგად ან ძალიან კარგად შეაფასა.

კვლევის მიმდინარეობას საერთაშორისო ორგანიზაციების NORLAG-ის, ABA-ის და UNDP-ის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ

"ჯაშუშების საქმის" განხილვა დასრულდა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაასრულა გახმაურებული საქმის განხილვა, რომელიც ჯაშუშობასა და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან საქართველოს მოქალაქეების თანამშრომლობას შეეხებოდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსასჯელები გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გადაიბირეს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს შეირაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებმა და აგენტურულ კავშირზე იმყოფებოდნენ მათთან. მათი დავალებით მოიპოვებდნენ, აგროვებდნენ და დაუდგენელი არხებით სისტემატურად გადასცემდნენ მათ სხვადასხვა ხასიათის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს და სხვა სახის ინფორმაციებს, რომლებიც "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მიიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოებად.

განსასჯელთა ნაწილი, რომლებიც სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საჰაერო ძალებსა და სახმელეთო ჯარებში, ფლობდნენ მნიშვნელოვან ინფორმაციებს საქართველოს შეიარაღებული ძალების, სამხედრო ავიაციის პირადი შემადგენლობისა და შეიარაღების, ქვეყანაში არსებულ სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შესახებ, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გადაიბირეს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს შეირაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებმა და აგენტურულ კავშირზე იმყოფებოდნენ რუსეთის ფედერაციის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელთან, რომლის დავალებით მოიპოვებდნენ, აგროვებდნენ და დაუდგენელი არხებით სისტემატურად გადასცემდნენ სხვადასხვა ხასიათის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს.

სასამართლომ იმსჯელა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, გაეცნო მოწმეთა ჩვენებებს, და განსასჯელები ედუარდ აბდულაევი, არმენ გევორქიანი, რუბენ ჩიკოიანი, ტარიელ აბაშიძე, გელა კაკაბაძე, გოჩა დიასამიძე, დავით მესხიძე დამნაშავედ ცნო ჯაშუშობაში და მათ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამასთანავე, გელა კაკაბაძე, დამნაშავედ ცნო საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენასა და შენახვაში და დანაშაულთა ერთობლიობით მას 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო რუსლან გალოგრესა და იური სკრილნიკოვს სასამართლოს განაჩენით ბრალი დაედოთ საქართველოს წინააღმდეგ უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლასა და საქმიანობაში. ორივე მათგანს სასამართლომ 14-14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი საქმე განიხილა, რომელიც ასევე, ჯაშუშობას ეხებოდა. სასამართლომ ვ.პ. დამნაშავედ ცნო ჯაშუშობაში - საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების, ცნობების, სხვაგვარი მონაცემების და სხვა ინფორმაციის შეგროვებასა და გადაცემაში; ასევე, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენასა და შენახვაში და მას 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს მოქალაქე ვ.პ. რომელიც 2005 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების სამხედრო-საჰაერო ძალებსა და სახმელეთო ჯარებში, ფლობდა მნიშვნელოვან ინფორმაციებს საქართველოს შეიარაღებული ძალების, სამხედრო ავიაციის ეკიპაჟების და საფრენი საშუალებების ფრენების განრიგებთან დაკავშირებით, გადაიბირა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებმა. იგი მათი დავალებით მოიპოვებდა, აგროვებდა და სისტემატურად გადასცემდა სხვადასხვა ხასიათის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციებს.

2010 წლის 20 სექტემბერს ბათუმში მდებარე ერთ-ერთ ინტერნეტ-კაფეში ქართველმა სამართალდამცველებმა ჩაატარეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, რის შედეგადაც. მოიპოვეს ვ.პ-ს მიერ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენდა ტექნიკურ შეტყობინებას და აუდიო ფაილს, რომელზეც მიბმული იყო დაფარული სახის ფოტომასალა. ფოტომასალაზე აღბეჭდილი ინფორმაცია შეიცავდა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულებით დამტკიცებულ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობებს, რაც "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მიიჩნეოდა სახელმწიფო საიდუმლოებად.

ვ.პ-ს საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა ასევე ამოიღეს მეხსიერების ბარათი, რომელზეც შენახული იყო სამხედრო ხასიათის ინფორმაციები, რომლებიც შეიცავენ პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებულ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობებს და "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მიიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოებად.

ვ.პ-ს დაკავების შემდეგ, მისი სამუშაო ოთახის ჩხრეკის შედეგად ამოიღეს მის მიერ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული 16 ცალი ქარხნული წესით დამზადებული, 7,62 მმ. კალიბრის ვაზნა, განკუთვნილი ამავე კალიბრის სავაზნემჭიდიანი, თვითდამუხტავი და ავტომატური შაშხანებისათვის, კარაბინებისთვის, ხელის სადაზგო, სატანკო და საავიაციო ტყვიამფრქვევებისათვის.

უვადო თავისუფლების აღკვეთა განზრახ მკვლელობისთვის

ბათუმის საქალაქო სასამართლომ თ.ბ. დამნაშავედ ცნო დ.კ-ის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისთვის და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვისათვის.

დანაშაული 2010 წლის 5 მაისს ბათუმში მოხდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ.ბ-ს დაუკავშირდნენ გამოძიებით დაუდგენელი რუსი და აფხაზი ეროვნების პირები, რომლებმაც გარკვეული ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ შეუკვეთეს ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებით დ.კ-ის მკვლელობა, რისთვისაც გადასცეს დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობა და საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში 50 000 აშშ დოლარის გადახდა აღუთქვეს. აღნიშნული დაკვეთის მიღებისთანავე თ.ბ. დაუკავშირდა ო.რ-ს და შესთავაზა ერთად განეხორციელებინათ აფეთქება, ხოლო აღებული ფულადი გასამრჯელო ურთიერთშორის გაენაწილებინათ, რაზედაც მისგან თანხმობა მიიღო.

2010 წლის 04 მაისს, დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობით შეიარაღებული თ.ბ. და ო.რ. ჩავიდნენ ბათუმში. ღამის საათებში თ.ბ-მ დ.კ-ის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდგარ მის სამსახურებრივ "ტოიოტა-ჰაილუქსის" მარკის ავტომანქანაზე დაამონტაჟა ასაფეთქებელი მოწყობილობა. 2010 წლის 05 მაისს, დილის საათებში, ო.რ-მ მოქმედებაში მოიყვანა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რასაც მოჰყვა აფეთქება, რის შედეგადაც დ.კ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

დანაშაულში მსჯავრდებულ თ.ბ-ს სასამართლომ უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამავე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის მსჯავრი სამ პირს - დ.რ-ს, ლ.ქ-ს და გ.გ-ს დაედოთ, რომლებსაც საპატიმრო სასჯელები მიესაჯათ.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

UNDP Georgia